



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58, ტელ.: +995 599 18 24 25
ელ. ფოსტა: info.cageri@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

N 2-125
14/06/2018

125-07-4-201806141536



ცაგერის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და დაფინანსების სხვა წყაროებიდან შესასრულებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება - ჩაბარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და დაფინანსების სხვა წყაროებიდან შესასრულებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება - ჩაბარების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - გიორგი მახათაძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
 - სოფიო გვიშიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
 - გელა მამარდაშვილი - პირველი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
 - მამუკა ლეთოდიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
 - დავით ჩიქოვანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი.
 - რევაზ ახვლედიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

- თენგიზ მემველიანი - II სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
 - თამაზი ბენდელიანი - II სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ნებართვების გაცემის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
 - მამუკა ხაბულიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი (მოწვევით);
 - მერაბ სალინაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
2. მიღება-ჩაბარების კომისიის სხდომის მდივნის მოვალეობა დაევალოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტს - კიაზო ჩარკვიანს.
 3. დაევალოს მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში და ეთხოვოს მაჟორიტარული წესით არჩეულ საკრებულოს წევრებს ადმინისტრაციული ერთეულებისა და შესაბამისი ოლქების მიხედვით აქტიური მონაწილეობა მიიღონ შესრულებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიღება-ჩაბარებში.
 4. მიღება - ჩაბარების აქტი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი იქნას მუნიციპალიტეტის მერთან დასამტკიცებლად.
 5. მიღება-ჩაბარების ობიექტის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იქნას შესაბამისი სპეციალისტი.
 6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ცაგერის მუნიციპალიტეტის სახსრებით შესყიდული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემოწმებისა და მიღების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 16 მარტის N 2-1514 ბრძანება და „ცაგერის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და დაფინანსების სხვა წყაროებიდან შესასრულებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიღება - ჩაბარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 იანვრის N 2-7 ბრძანება.
 7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
 8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონითდადგენილი წესით ცაგერის რაიონულ სასამართლოში /ქ. ცაგერი. ასათიანის ქ. # 14

ავთანდილ უგრეხელიძე

მუნიციპალიტეტის მერი

